ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 27 დეკემბერი, 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის - მაია ჭიჭილეიშვილის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (შემდგომში - აკადემია) წარმოდგენილი მისი რექტორის - გიორგი გუგუშვილის სახით, (შემდგომში - მხარეები) გამოვხატავთ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია:

- ერთობლივი საგანმანათლებლო, სახელოვნებო ან/და შემოქმედებითი პროექტების შემუშავება და განხორციელება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სახელოვნებო და საგანმანათლებლო სივრცეებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა;
- კონფერენციების, სიმპოზიუმების, ვორქშოპების, მასტერკლასებისა და სემინარების გამართვა;
- სხვა ღონისძიებების განხორციელება ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით საკითხები გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით.

2.2. წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა ძირითად შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე განსახორციელებელი კონკრეტული პროექტების დეტალებთან, მათ შორის, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, მხარეთა შორის შესაძლოა გაფორმდეს დამატებითი წერილობითი შეთანხმება.

2.3. წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ თავიანთი საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე.

მუხლი 3. მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის 2019 წლის 27 დეკემბრიდან და მოქმედებს 2024 წლის 27 დეკემბრამდე.

3.2. მემორანდუმის შეწყვეტა ან მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ასევე შეწყვეტილ იქნას ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის წინასწარ, ერთი თვით ადრე მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა სადავო საკითხს, გამომდინარე წინამდებარე მემორანდუმიდან, მხარეები წყვეტენ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები ან სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფოს მიერ მიღებული აქტები და სხვა გარემოებები, რომლებიც აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობის განხორციელებას.

5.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან/დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში.

5.3. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. მემორანდუმში ცვლილების შეტანა ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით.

6.2. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული მემორანდუმით, რეგულირდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

6.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მის.: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის /ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32
ს.კ. 245628496
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge

რექტორი

მაია ჭიჭილეიშვილი

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

მის.: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №22

ს.კ. 203851545
ელ. ფოსტა: info@art.edu.ge

რექტორი

გიორგი გუგუშვილი